PDF Eraser Free

დანართი №1

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა
პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განმახორციელებელი დაწესებულების საზოგადოებრივი კოლეჯის, შპს „პროფიუნიტი“, მიერ ავტორიზაციის პირობების შესრულების შემოწმების შესახებ

ექსპერტთა ჯგუფის წევრები

თავმჯდომარე:

ნანა შარაბიძე

წევრი:

ნანა ნატროშვილი

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

PDF Eraser Free

I. ინფორმაცია დაწესებულების შესახებ

დაწესებულების სახელწოდება: **საზოგადოებრივი კოლეჯი შპს „პროფიუნიტი“**

ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმა: **შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება**

საიდენტიფიკაციო კოდი: [redacted]

სახე: **პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულება / კოლეჯი**

☐ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულება

☐ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულება

■ პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულება / კოლეჯი

<u>ადმინისტრაციული წარმოების სახე (მონიშნეთ შესაბამისი უჯრა):</u>

☐ პროფესიულ სტუდენტთა ადგილების რაოდენობის გაზრდა

☐ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების ადგილის/ფართის ცვლილება

☐ საშუალო პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაში ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის სწავლის შედეგების ინტეგრირება

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

PDF Eraser Free

☒ ავტორიზაციის პირობების შესრულების შემოწმება

☐ **გეგმიური**

☐ **არაგეგმიური**

- ✓ **მონიტორინგი საბჭოს შუამდგომლობის საფუძველზე**

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

PDF Eraser Free

III. ინფორმაცია პროფესიული სტუდენტების შესახებ

<u>ივსება მხოლოდ ავტორიზაციის პირობების შესრულების შემოწმების დროს:</u>

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება	შესაბამისი საბჭოს მიერ განსაზღვრული პროფესიული სტუდენტების ზღვრული რაოდენობა	აქტიური პროფესიული სტუდენტების რაოდენობა	სტატუსშეჩერებული პროფესიული სტუდენტების რაოდენობა
1. სამთო ტექნიკოსი	60	59	1
2. სამთო ელექტრო-მექანიკოსი	30	30	0
3. მყარი წიაღისეულის გამდიდრების ტექნოლოგიის სპეციალისტი	30	30	0

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

PDF Eraser Free

IV. საერთო მიმოხილვა

საჯარო სამართლის იურიდიული პირი - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2021 წლის 27 სექტემბრის №987559 ბრძანებით შეიქმნა პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფი შემდეგი შემადგენლობით:

1. ნანა შარაბიძე - პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის ექსპერტი (თავმჯდომარე);
2. ნანა ნატროშვილი - პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის ექსპერტი (წევრი);

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფს დაევალა შპს-ს „პროფიუნიტი" პირობების საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის დებულების 31-ე მუხლის, მე-2 პუნქტის ე) ქვეპუნქტით განსაზღვრული სტანდარტის ე.ბ) და ე.გ) კომპონენტებისა და გათბობის სისტემის მონტაჟის შესრულების შემოწმება (მონიტორინგი საბჭოს შუამდგომლობის საფუძველზე) დისტანციურად, კომუნიკაციის თანამედროვე ელექტრონული საშუალებების გამოყენებით.

ექსპერტთა ჯგუფმა შეისწავლა შემოსული დოკუმენტაცია, დაწესებულების ვებ გვერდზე განთავსებული ინფორმაციები და დოკუმენტები. 2021 წლის 8 ოქტომბერს, განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის ჩართულობით, განახორციელა დისტანციური ვიზიტი.

დისტანციური ვიზიტის ფარგლებში, ექსპერტთა ჯგუფი გაესაუბრა დაწესებულების ადმინისტრაციის წარმომადგენლებს და ასევე, IT რისკების მართვაზე, პერსონალურ მონაცემთა დაცვაზე, საქმისწარმოებაზე, საზოგადოებასთან ურთიერთობაზე და დაწესებულების ფინანსური მდგრადობის შეფასების შედეგებზე პასუხისმგებელ პირებს. ელექტრონული პლატფორმა ZOOM ის საშუალებით, ექსპერტთა ჯგუფმა დაათვალიერა გათბობის სისტემის მონტაჟი და გადაამოწმა გაუმჯობესების გეგმით გათვალისწინებული სხვა სამუშაოების შესრულება. გათბობის სისტემა დამონტაჟებულია შენობის ორ სართულზე როგორც დერეფნებში, ასევე სასწავლო აუდიტორიებში და სასწავლო პროცესის დამხმარე ფართებში (ბიბლიოთეკა, ადმინისტრაციის თანამშრომლების სამუშაო ოთახები). ექსპერტთა ჯგუფმა ასევე დაათვალიერა ვიდეო კამერები. დათვალიერების შედეგად დადგინდა, რომ დაწესებულების შენობის გარე და შიდა პერიმეტრზე დამონტაჟებულია ორი სათვალთვალო ვიდეო-კამერა, რომელთა კონტროლიც ხორციელდება დაცვის თანამშრომლის მიერ. დისტანციური ვიზიტის დროს ორივე კამერა იყო ჩართული.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

PDF Eraser Free

ექსპერტთა ჯგუფმა შეაჯერა სტანდარტების შეფასებების შედეგები და ძირითადი მიგნებები გაუზიარა დაწესებულების წარმომადგენლებს.

ავტორიზაციის ვიზიტის ფარგლებში მე-5 სტანდარტის 5.2. და 5.3. კომპონენტი ექსპერტთა ჯგუფის მიერ შეფასებული იყო როგორც „მეტწილი შესაბამისობა“, მონიტორინგის დროს შეფასდა, როგორც „სრული შესაბამისობა“ და მთლიანობაში მეხუთე სტანდარტთან შესაბამისობა გახდა „სრული შესაბამისობა“.

V. ავტორიზაციის მე-5 სტანდარტთან შესაბამისობის ცხრილი

სტანდარტი/კომპონენტი	**საგანმანათლებლო დაწესებულების შეფასება**	**ექსპერტთა ჯგუფის შეფასება**
5) მატერიალური, საინფორმაციო და ფინანსური რესურსები	(დაწესებულების მიერ სტანდარტის საბოლოო შეფასება)	(ექსპერტების მიერ სტანდარტის საბოლოო შეფასება) სრული შესაბამისობა
5.2) საინფორმაციო რესურსები	-	სრული შესაბამისობა
5.3) ფინანსური რესურსები	-	სრული შესაბამისობა

VI. საუკეთესო გამოცდილების საერთო მიმოხილვა

არ გამოვლენილა

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

PDF Eraser Free

VII. წინა ვიზიტის ფარგლებში გაცემული რეკომენდაციების შესრულების შეფასება და აღწერა

ავტორიზაციის ვიზიტი დაწესებულებაში განხორციელდა 2021 წლის მარტში, რომლის ფარგლებშიც ექპერტთა ჯგუფის მხრიდან გაიცა რეკომენდაციები:

5.2.1.1. სასურველია, დაწესებულებამ ერთი ერთეული პერსონალური კომპიუტერი, რომელიც ჩუქების დოკუმენტით გადაეცა, აიყვანოს ბალანსზე;

<u>**რეკომენდაცია გათვალისწინებულია.**</u> ჩუქების ხელშეკრულების საფუძველზე დაწესებულებისთვის გადაცემული კომპიუტერის ბალანსზე აყვანის პროცესის განხორციელება დავალებული აქვს ბუღალტერს და შესაბამისად, აღნიშნული აისახება 2021 წლის ანგარიშგებაში/ბალანსში.

5.2.1.4. სასურველია, დაწესებულებამ გადახედოს საინფორმაციო ინფრასტრუქტურას და IT პროცესების სისტემის ეფექტიანობის გასაზრდელად, მოახდინოს დამატებითი რესურსების მობილიზება;
<u>**რეკომენდაცია გათვალისწინებულია.**</u> დაწესებულებამ შეიძინა 2 ერთეული კომპიუტერი, 2 ერთეული პროექტორი და 1 ერთეული ერთეული პერსონალური კომპიუტერი გადაეცა საჩუქრად. ასევე, IT პროცესების სისტემის ეფექტიანობის გასაზრდელად და საინფორმაციო ინფრასტრუქტურის ტექნიკურად გამართული მდგომარეობის უზრუნველსაყოფად დაწესებულებამ გააფორმა ხელშეკრულება და მიიღო მომსახურება შესაბამისი ორგანიზაციიდან, რაზეც წარმოადგინა მომსახურების გაწევის აქტი (01.07.2021).

5.2.3.1.სასურველია, დაწესებულებამ შეიმუშაოს წესი, სადაც განსაზღვრავს მოვალეობებს და პასუხისმგებლობებს ოფიციალურ ვებ გვერდზე განთავსებული ინფორმაციის სისწორეზე;

<u>**რეკომენდაცია გათვალისწინებულია.**</u> კოლეჯის დირექტორის ბრძანებით 06/21. 05.05.2021 განსაზღვრულია კონკრეტული პირი

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

PDF Eraser Free
შესაბამისი უფლებებით და ვალდებულებებით, რომელიც პასუხისმგებელია ვებ გვერდზე განთავსებული ინფორმაციების სისწორეზე.

5.2.3.5. სასურველია, კატალოგის პროგრამების ჩამონათვალში ჩანდეს, რომ პროგრამების განხორციელება მოხდება დაწესებულების ავტორიზაციის შემდეგ;

<u>რეკომენდაცია გათვალისწინებულია.</u> დაწესებულების ვებ გვერდზე განთავსებულ კატალოგში წარმოდგენილია მხოლოდ ავტორიზებული პროგრამები.

5.3.1.4. სასურველია, დაწესებულებამ მოახდინოს ფინანსური მდგრადობის შეფასება და შესაბამისად დაგეგმოს შემდგომი აქტივობები;

<u>რეკომენდაცია გათვალისწინებულია.</u> დაწესებულების ფინანსური ანგარიშები განთავსებულია ფინანსური აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის ზედამხედველობის სამსახურის პორტალზე. ასევე, დაწესებულების წარმომადგენლებთან გასაუბრების დროს აღინიშნა, რომ ავტორიზაციის შემდგომ პერიოდში შესრულებული სამუშაობის ფინანსური უზრუნველყოფისთვის მოხდა შესაბამისი სახსრების სესხად აღება და დაწესებულებას მიმდინარე წელს დაგეგმილი აქვს აღებული სესხის ეტაპობრივად დაფარვა.

VIII. დაფიქსირებული ხარვეზების შეჯამება

არ გამოვლენილა.

IX .სტანდარტთან შესაბამისობის რეკომენდაციების შეჯამება

-

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

PDF Eraser Free

X. განმავითარებელი რეკომენდაციების შეჯამება

-

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

PDF Eraser Free

XI. სტანდარტების შეფასება

5. **მატერიალური, საინფორმაციო და ფინანსური რესურსები**

5.2 საინფორმაციო რესურსები

5.2.1 პსდ-ს ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა ხელს უწყობს მისი ძირითადი საქმიანობის განხორციელებას.

1. პსდ-ში შექმნილი IT ინფორმაციის ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა შეესაბამება დაწესებულების პროცესებს;
2. პსდ ახორციელებს საინფორმაციო ტექნოლოგიების IT რისკების მართვას;
3. დაწესებულება უზრუნველყოფს პერსონალურ მონაცემთა დაცვას;
4. პსდ აფასებს საინფორმაციო ინფრასტრუქტურისა და IT პროცესების სისტემის ეფექტიანობას;
5. პროფესიული სტუდენტებისა და პერსონალისათვის მუდმივად ხელმისაწვდომია პსდ-ს IT ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა და მომსახურება;
6. პსდ უზრუნველყოფს პროფესიულ სტუდენტთა და პერსონალის ინფორმირებას ერთიანი ელექტრონული საკომუნიკაციო მექანიზმით/სისტემით.

კომპონენტის/კრიტერიუმის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. პსდ-ში შექმნილი IT ინფორმაციის ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა შეესაბამება დაწესებულების პროცესებს;

ექსპერტთა ჯგუფის მიერ დაწესებულების გადმოგზავნილი დოკუმენტაციის შესწავლის და ელექტრონული პლატფორმა ZOOM -ის საშუალებით ვიზუალური დათვალიერების შედეგად დადგინდა, რომ დაწესებულებას გააჩნია სასწავლო პროცესისა და ადმინისტრაციული საქმიანობის წარმართვისთვის საჭირო შესაბამისი ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა. დაწესებულებაში არის 3 ერთეული კომპიუტერი, რაც კოლეჯში დასაქმებული პერსონალის რაოდენობის ადეკვატურია. დაწესებულებაში ხელმისაწვდომია როგორც უკაბელო, ასევე კაბელიანი ინტერნეტი, რაც დასტურდება ინტერნეტ პროვაიდერთან გაფორმებული ხელშეკრულებით და ვიზიტის დროს ადგილზე გადამოწმებით. საბიბლიოთეკო

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

PDF Eraser Free
სივრცეში სტუდენტებისთვის გამოყოფილია დამოუკიდებელი კომპიუტერი, რომლითაც ნებისმიერ დროს შეუძლია ისარგებლოს სტუდენტმა. აღსანიშნავია, რომ წინა ვიზიტის ფარგლებში, ექსპერტთა მიერ გაიცა რეკომენდაცია დაწესებულებას 1 ერთეული პერსონალური კომპიუტერი, რომელიც ჩუქების დოკუმენტით გადაეცა აეყვანა ბალანსზე. ინტერვიუს პროცესში აღინიშნა, რომ ჩუქების ხელშეკრულების საფუძველზე დაწესებულებისთვის გადაცემული კომპიუტერის ბალასზე აყვანის პროცესის განხორციელება დავალებული აქვს ბუღალტერს და შესაბამისად, აღნიშნული აისახება 2021 წლის ანგარიშგებაში/ბალანსში. ასევე, დაწესებულებამ შეიძინა 2 მეორადი პროექტორი და წარმოადგინა შესაბამისი საგადახდო დავალების დოკუმენტი. ექსპერტების მხრიდან ვიზიტის დროს დადასტურდა პროექტორების ფიზიკური არსებობა.

2. პსდ ახორციელებს საინფორმაციო ტექნოლოგიების IT რისკების მართვას;

დაწესებულებას საინფორმაციო ტექნოლოგიების IT რისკების მართვის მიზნით შემუშავებული აქვს დოკუმენტი „IT რისკების მართვა, საინფორმაციო ინფრასტრუქტურისა და IT პროცესების სისტემის ეფექტიანობის პოლიტიკა“, რომელიც დამტკიცებულია დირექტორის ბრძანებით (№29/20, 01.09.2020წ). IT პროცესების სისტემის ეფექტიანობის გასაზრდელად და საინფორმაციო ინფრასტრუქტურის ტექნიკურად გამართული მდგომარეობის უზრუნველსაყოფად დაწესებულებამ გააფორმა ხელშეკრულება და მიიღო მომსახურება შესაბამისი ორგანიზაციიდან, რაზეც წარმოადგინა მომსახურების გაწევის აქტი (01.07.2021).

3. დაწესებულება უზრუნველყოფს პერსონალურ მონაცემთა დაცვას;

წინა ვიზიტის შემდგომ პერიოდში დაწესებულებამ უზრუნველყო პერსონალურ მონაცემთა დაცვის მექანიზმების შემუშავება, რომლის შექმნის ვალდებულებაც დაწესებულებას გაწერილი ჰქონდა გაუმჯობესების გეგმით. დაწესებულებამ წარმოადგინა კოლეჯის დირექტორის 2021 წლის 06 მაისის N08/21 ბრძანებით დამტკიცებული კოლეჯის პერსონალურ მონაცემთა დაცვის მექანიზმები, რომელიც შესაბამისობაშია „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონთან. აღნიშნულ დოკუმენტში გაწერილია ინფორმაცია შემდეგი საკითხების შესახებ: პერსონალურ მონაცემთა დამუშავების პრინციპები, მონაცემთა დამუშავების წესები და საფუძვლები, მონაცემთა უსაფრთხოება, კოლეჯის მიერ მონაცემთა სუბიექტის ინფორმირება და სხვა. დისტანციური გასაუბრების შემდგომ, დაწესებულებამ ექპერტებს დამატებით მტკიცებულებად წარმოუდგინა ხელწერილების ფორმები (თანამშრომლები, სტუდენტები) პერსონალური მონაცემების გამოყენების თაობაზე.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

PDF Eraser Free

4. **პსდ აფასებს საინფორმაციო ინფრასტრუქტურისა და IT პროცესების სისტემის ეფექტიანობას;**

დაწესებულების ხარისხის უზრუნველყოფის შიდა რეგულაცია ითვალისწინებს პროფესიულ სტუდენტთა და პროფესიულ მასწავლებელთა გამოკითხვებს. გამოკითხვების ფორმები მოიცავს შესაბამის შეკითხვებს IT რესურსების საკმარისობის და რელევანტურობის შესახებ. ინტერვიუს დროს აღინიშნა, რომ უახლოეს პერიოდში იგეგმება სხვადასხვა ჯგუფების (ადმინისტრაციული პერსონალი, პროფესიული განათლების მასწავლებლები, პროფესიული სტუდენტები) გამოკითხვების ჩატარება.

5. **პროფესიული სტუდენტებისა და პერსონალისათვის მუდმივად ხელმისაწვდომია პსდ-ს IT ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა და მომსახურება;**

პროფესიული სტუდენტებისა და პერსონალისათვის ხელმისაწვდომია ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა და მომსახურება. სტუდენტების ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურით სარგებლობის შესახებ გაწერილია დაწესებულების დირექტორის ბრძანებით (01/09/2020, 30/20) დამტკიცებულ აქტში „პროფესიულ სტუდენტთა უფლებების და კანონიერი ინტერესების დაცვის მექანიზმები და მათი მხარდაჭერის ღონისძიებები“. დისტანციური გასაუბრების დროს აღინიშნა, რომ დაწესებულების ბიბლიოთეკის სამკითხველო დარბაზში არსებული კომპიუტერი, პრინტერი და სკანერი ხელმისაწვდომია სტუდენტებისათვის, ხოლო პერსონალისათვის მათი სამუშაო კომპიუტერები. ასევე, მათ შეუძლიათ ისარგებლონ უწყვეტი ინტერნეტით (უკაბელო ინტერნეტი) თავისუფალი წვდომის რეჟიმში.

დაწესებულებას გაფორმებული აქვს მომსახურების ხელშეკრულება შპს „პროსერვის“-თან, რომელიც უზრუნველყოფს დისკური სივრცის გამოყოფას დაწესებულების დომენის (profiuniti.edu.ge) და ჰოსტინგისთვის.

6. **პსდ უზრუნველყოფს პროფესიულ სტუდენტთა და პერსონალის ინფორმირებას ერთიანი ელექტრონული საკომუნიკაციო მექანიზმით/სისტემით.**

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

PDF Eraser Free
აღსანიშნავია, რომ წინა ვიზიტის დროს, დაწესებულებაში არ მოქმედებდა ერთიანი საკომუნიკაციო სისტემა. წინა ვიზიტის შემდგომ პერიოდში დაწესებულებამ უზრუნველყო პერსონალისთვის და სტუდენტებისთვის დაწესებულების დომეინით ელ-ფოსტის მისამართების შექმნა. დაწესებულებამ წარმოადგინა შესაბამისი მტკიცებულებები. კერძოდ, სტუდენტების და პერსონალის სახელზე შექმნილი ელ-ფოსტის მისამართები.

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

- ინტერნეტ პროვაიდერთან, დომენის და ჰოსტინგის ხელშეკრულებებით;
- ნოუთბუკების შესყიდვის დოკუმენტებით;
- პროექტორების შესყიდვის დოკუმენტებით;
- პერსონალური კომპიუტერის ჩუქების დოკუმენტით;
- კოლეჯის დირექტორის 2021 წლის 06 მაისის N08/21 ბრძანებით დამტკიცებული კოლეჯის პერსონალურ მონაცემთა დაცვის მექანიზმებით;
- კოლეჯის დირექტორის ბრძანებით (№29/20, 01.09.2020წ) დამტკიცებული „IT რისკების მართვა, საინფორმაციო ინფრასტრუქტურისა და IT პროცესების სისტემის ეფექტიანობის პოლიტიკით“;
- „პროფესიულ სტუდენტთა უფლებების და კანონიერი ინტერესების დაცვის მექანიზმები და მათი მხარდაჭერის ღონისძიებები“დოკუმენტით. (01/09/2020, 30/20);
- ელექტორნული პლატფორმა ZOOM -ის მეშვეობით ვიზუალური დათვალიერების შედეგებით;
- ინტერვიუს შედეგებით.

5.2.2 პსდ-ში საქმისწარმოება მიმდინარეობს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

1. პსდ-ში მოქმედებს კანონმდებლობასთან შესაბამისი საქმისწარმოების წესი;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

PDF Eraser Free

2. პსდ-ს მართვაში გამოიყენება თანამედროვე ტექნოლოგიები, მათ შორის, ელექტრონული საქმისწარმოებისთვის;
3. პსდ უზრუნველყოფს პროფესიული განათლების მართვის საინფორმაციო სისტემაში სრულყოფილი ინფორმაციის კანონმდებლობით დადგენილი წესით შეტანას;
4. პსდ დროულად აწვდის ანგარიშებს, უკუკავშირსა და ინფორმაციას საგანმანათლებლო საქმიანობაზე კონტროლის განმახორციელებელ უწყებებს და თანამშრომლობს მათთან.

კომპონენტის/კრიტერიუმის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. პსდ-ში მოქმედებს კანონმდებლობასთან შესაბამისი საქმისწარმოების წესი;

დაწესებულებას შემუშავებული აქვს კანონმდებლობასთან შესაბამისი საქმისწარმოების ერთიანი წესები, დამტკიცებული დირექტორის ბრძანებით. კოლეჯის შიდა რეგულაციის თანახმად, საქმისწარმოებას ახორციელებს და დოკუმენტბრუნვის ორგანიზებაზე პასუხსიმგებელი პირი არის საქმისმწარმოებელი. საქმისწარმოების ერთიანი წესის შესაბამისად ხდება გამოცემული აქტებისა და კორესპონდენციის აღრიცხვა, დაწესებულებას აქვს საკანცელარიო ჟურნალები, სადაც წარმოებს გამოცემული აქტებისა და შემოსული და გასული კორესპონდენციის, ხელშეკრულებების აღრიცხვა, რეგისტრაციის ჟურნალები ზონარგაყრილი, გადანომრილი და დალუქული შესაბამისი წესით, ბრძანებები და ხელშეკრულებები რეგისტრაციის ჟურნალებში გატარებულია.

2. პსდ-ს მართვაში გამოიყენება თანამედროვე ტექნოლოგიები, მათ შორის, ელექტრონული საქმისწარმოებისთვის;

კოლეჯში არსებობს ელექტრონული საქმისწარმოების/დოკუმენტბრუნვის თანამედროვე სისტემა eflow, რომელიც დაწესებულების მართვაში გამოიყენება გარე კომუნიკაციისთვის. ექსპერტთა მიერ ელექტორნული პლატფორმა ZOOM -ის მეშვეობით ვიზუალური დათვალიერებით (ეკრანის გაზიარებით) გადამოწმდა დაწესებულების მიერ საქმისწარმოების ელექტრონული სისტემით სარგებლობის გამართულობა.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

PDF Eraser Free

3. პსდ უზრუნველყოფს პროფესიული განათლების მართვის საინფორმაციო სისტემაში სრულყოფილი ინფორმაციის კანონმდებლობით დადგენილი წესით შეტანას;

დაწესებულება უზრუნველყოფს პროფესიული განათლების მართვის საინფორმაციო სისტემაში სრულყოფილი ინფორმაციის კანონმდებლობით დადგენილი წესით შეტანას. პროფესიული განათლების მართვის საინფორმაციო სისტემაში სრულყოფილი ინფორმაციის კანონმდებლობით დადგენილი წესით შეტანაზე პასუხისმგებელია სასწავლო პროცესის და პროგრამების კოორდინატორი, რომელსაც ეს ფუნქცია დაწესებულების დირექტორის ბრძანებით №40/20,15.10.2020წ. დამტკიცებულ „შპს პროფიუნიტის სტრუქტურის / პერსონალის სამუშაო აღწერილობები და საკვალიფიკაციო მოთხოვნებშია“ გაწერილი.

4. პსდ დროულად აწვდის ანგარიშებს, უკუკავშირსა და ინფორმაციას საგანმანათლებლო საქმიანობაზე კონტროლის განმახორციელებელ უწყებებს და თანამშრომლობს მათთან.

დაწესებულება თანამშრომლობს საგანმანათლებლო საქმიანობაზე კონტროლის განმახორციელებელ უწყებებთან (განათლების სამინისტრო, განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი, განათლების მართვის საინფორმაციო სისტემა და სხვ.) და დროულად აწვდის ინფორმაციას, ანგარიშებს და უკუკავშირს. ექსპერტთა მიერ ელექტორნული პლატფორმა ZOOM -ის მეშვეობით ვიზუალური დათვალიერებით (ეკრანის გაზიარებით) გადამოწმდა დაწესებულების მიერ გაგზავნილი კორესპოდენციები.

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

- საქმისწარმოების ერთიანი წესებით, დამტკიცებული დირექტორის ბრძანებით (2018 წლის 04.11 -ის 27/18)
- მიღებული და გაგზავნილი კორესპონდენციით;
- ელექტორნული პლატფორმა ZOOM -ის მეშვეობით ვიზუალური დათვალიერების შედეგებით;
- ინტერვიუს შედეგებით.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

PDF Eraser Free

5.2.3. პსდ მიზანმიმართულად წარმართავს საზოგადოებასთან ურთიერთობას.

1. პსდ-ს ოფიციალური ვებგვერდი და სოციალური ქსელის გვერდი ასრულებს საკომუნიკაციო და საინფორმაციო ფუნქციას და ითვალისწინებს ინფორმაციის გონივრულ ვადაში მიღების ინტერესს;
2. დაწესებულებას, რომლის მისიაშიც განსაზღვრულია საერთაშორისო თანამშრომლობის პრიორიტეტი ან უცხოენოვანი პროგრამის განხორციელება, აქვს იმ ენის შესაბამისი ვებგვერდიც, რომელზეც ახორციელებს სწავლებას;
3. პსდ უზრუნველყოფს მისი საქმიანობის, მათ შორის მის მიერ განხორციელებული საგანმანათლებლო პროგრამების შესახებ მხოლოდ სანდო და უტყუარი ინფორმაციის გავრცელებას;
4. საგანმანათლებლო პროგრამების კატალოგი ემსახურება დაინტერესებული პირების ინფორმირებას პსდ-ის საგანმანათლებლო აქტივობების შესახებ;
5. პროგრამების კატალოგი ახლდება წლიურად, ასევე პროგრამაში განხორციელებული ცვლილებების შესაბამისად;
6. საზოგადოებასთან კომუნიკაციის პროცესში სხვადასხვა არხების შედეგად მიღებულ უკუკავშირს პსდ იყენებს მისი საქმიანობის ხარისხის გასაუმჯობესებლად.

1. პსდ-ს ოფიციალური ვებგვერდი და სოციალური ქსელის გვერდი ასრულებს საკომუნიკაციო და საინფორმაციო ფუნქციას და ითვალისწინებს ინფორმაციის გონივრულ ვადაში მიღების ინტერესს;

დაწესებულების ოფიციალური ვებგვერდი და სოციალური ქსელის გვერდი ასრულებს საკომუნიკაციო და საინფორმაციო ფუნქციას. ვებგვერდზე განთავსებულია ინფორმაცია დაწესებულების საქმიანობისა და მის მიერ განხორციელებული აქტივობების შესახებ, სტურქტურა, ინფორმაცია პერსონალის შესახებ, საგანმანათლებლო პროგრამების კატალოგი, რომელიც მოიცავს პროგრამის სახელწოდებას, პროგრამაზე ჩარიცხვის წინაპირობებს, მისანიჭებელი კვალიფიკაციას, კურსდამთავრებულთა კარიერული შესაძლებლობებს და სხვა. დაწესებულების ვებგვერდზე ასევე განთავსებულია დაწესებულების მისია, ხედვა, ღირებულებები; ინფორმაცია დაწესებულების საქმიანობის ძირითადი მიმართულებების შესახებ, სიახლეები, სასწავლო პროცესის მარეგულირებელი სხვადასხვა აქტები, ბიბლიოთეკის ელექტრონული

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

PDF Eraser Free
სახელმძღვანელოების საძიებო სისტემა, დაწესებულების სამოქმედო გეგმების წლიური ანგარიშები წლების მითითებით და სხვა.

აღსანიშნავია, რომ ვიზიტამდე და ვიზიტის შემდგომ ექსპერტების მხრიდან მოხდა კოლეჯის ვებგვერდის დათვალიერება. დაწესებულებამ გაითვალისწინა ექპერტების შენიშვნები ვებგვერდზე განთავსებული ნორმატიული აქტების მიმართ და ვიზიტის დღესვე მოხდა კორექტირება. ვებგვერდის ადმინისტრირება დავალებული აქვს სპეციალურად გამოყოფილ თანამშრომელს, რომელსაც განსათავსებელ ინფორმაციებს აწვდიან ადმინისტრაციის წარმომადგენლები, მათი კომპეტენციის ფარგლებში. დაწესებულებას აქვს სოციალურ ქსელში გვერდი, რომელიც ასევე ასრულებს საკომუნიკაციო და საინფორმაციო ფუნქციას და უზრუნველყოფს გონივრულ ვადაში ინფორმაციის მიწოდებას.
დაწესებულებას შემუშავებული აქვს საზოგადოებასთან ურთიერთობის და კომუნიკაციის წესი, დამტკიცებული კოლეჯის დირექტორის 2020 წლის 01/11 28/20 ბრძანებით.

2. დაწესებულებას, რომლის მისიაშიც განსაზღვრულია საერთაშორისო თანამშრომლობის პრიორიტეტი ან უცხოენოვანი პროგრამის განხორციელება, აქვს იმ ენის შესაბამისი ვებგვერდიც, რომელზეც ახორციელებს სწავლებას;

დაწესებულების მისიაში განსაზღვრული არ არის საერთაშორისო თანამშრომლობის პრიორიტეტი ან უცხოენოვანი პროგრამის განხორციელება, შესაბამისად დაწესებულების ვებგვერდი მხოლოდ ქართულენოვანია.

3. პსდ უზრუნველყოფს მისი საქმიანობის, მათ შორის მის მიერ განხორციელებული საგანმანათლებლო პროგრამების შესახებ მხოლოდ სანდო და უტყუარი ინფორმაციის გავრცელებას;

დაწესებულების ვებგვერდისა და სოციალური გვერდის ადმინისტირებას ახორციელებს სპეციალურად გამოყოფილი პირი, რომელიც უზრუნველყოფს ვებგვერდსა და სოციალურ ქსელში განთავსებული სასწავლებლის საქმიანობის, საგანმანათლებლო პროგრამების შესახებ სანდო და უტყუარი ინფორმაციის გავრცელებას. აღნიშნულ ინფორმაციებს დაწესებულების ვებგვერდსა და სოციალურ ქსელში განსათავსებლად ამზადებენ ადმინისტრაციის წარმომადგენლები თავიანთი კომპეტენციის ფარგლებში, რაც მათ სამუშაო აღწერილობებშიც არის გაწერილი. შესაბამისად, დაცულია დაწესებულების საქმიანობის შესახებ სანდო და უტყუარი ინფრომაციის გავრცელება.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

PDF Eraser Free

4. საგანმანათლებლო პროგრამების კატალოგი ემსახურება დაინტერესებული პირების ინფორმირებას პსდ-ის საგანმანათლებლო აქტივობების შესახებ;

დაწესებულების პროგრამების კატალოგში მოცემულია ინფორმაცია დაწესებულების მოქმედი პროგრამების შესახებ. აღსანიშნავია, რომ დაწესებულებამ გაითვალისწინა წინა ვიზიტის ფარგლებში ექპერტების მხრიდან გაცემული რეკომენდაცია პროგრამების კატალოგის განახლების და მართვის თაობაზე. კერძოდ, დაწესებულებას ავტორიზაციამდე განათვსებული კატალოგი ჰქონდა ანონსის სახით, ხოლო ავტორიზაციის მიღების შემდგომ კატალოგი შესწორდა მოქმედი პროგრამების შესაბამისად. დაწესებულების კატალოგი მოიცავს ინფრომაციას ავტორიზებული პროგრამების შესახებ, პროგრამის სახელწოდებას, მისანიჭებელ კვალიფიკაციას, სტრუქტურასა და მოდულებს, სასწავლო დროის განაწილებას თეორიული და პრაქტიკული კომპონენტების მიხედვით და სხვა. კატალოგში ასევე განთავსებულია ინფორმაცია დაწესებულების ისტორიის, მისიის, ხედვის და ღირებულებების შესახებ, რაც მოქმედი და პოტენციური სტუდენტებისთვის იქნება საინტერესო.

5. პროგრამების კატალოგი ახლდება წლიურად, ასევე პროგრამაში განხორციელებული ცვლილებების შესაბამისად;

დაწესებულება სისტემატიურად ანახლებს საგანმანათლებლო პროგრამების კატალოგს ყოველ წლიურად პროგრამაში განხორციელებული ცვლილებების შესაბამისად. დაწესებულების ვებგვერდზე განთავსებულია კატალოგების არქივი 2013 წლიდან, ასევე განთავსებულია 2021/22 წლის კატალოგი.

6. საზოგადოებასთან კომუნიკაციის პროცესში სხვადასხვა არხების შედეგად მიღებულ უკუკავშირს პსდ იყენებს მისი საქმიანობის ხარისხის გასაუმჯობესებლად.

დაწესებულებას შემუშავებული აქვს საზოგადოებასთან ურთიერთობის და კომუნიკაციის წესი, რომელიც დამტკიცებულია კოლეჯის დირექტორის 2020 წლის 01/11 28/20 ბრძანებით. აღნიშნული წესი მოიცავს 10 მუხლს და არეგულირებს ისეთ საკითხებს როგორებიცაა: მიზნები, დაწესებულების ვალდებულებები, ვიზიტორები და შიდა შეხვედრები, გარე შეხვედრები და აქტივობებში ჩართულობა, ვებგვერდი და სოციალური ქსელები, კომუნიკაცია თანამშრომელბთან, კომუნიკაცია პროფესიულ სტუდენტებთან, ელექტორნული ფოსტის ადმინისტრირება და უკუკავშირის შედეგები და ანალიზი.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

PDF Eraser Free
დაწესებულების წარმომადგენლებთან გასაუბრების დროს აღინიშნა, რომ კოლეჯისთვის საზოგადოების ინტერესების გათვალისწინება პრიორიტეტულია და კომუნიკაციის პროცესში მიღებული უკუკავშირის შედეგები გამოიყენება საქმიანობის ხარისხის გასაუმჯობესებლად, დაწესებულების საზოგადოებას გაცნობიერებული აქვს უკუკავშირის დადებითი ეფექტები და უკუკავშირის ანალიზის შედეგებს იყენებს შემდგომი განვითარებისთვის, და საჭიროების შემთხვევაში, ახდენს შესაბამის რეაგირებას. აღნიშნულ პროცესზე პასუხისმგებელია კოლეჯის დირექტორის მოადგილე და ასევე, უკუკავშირის ანალიზის პროცესში მონაწილეობენ კოლეჯის სხვა თანამშრომლებიც თავიანთი კომპეტენციის ფარგლებში.

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

- საზოგადოებასთან ურთიერთობის და კომუნიკაციის წესი, დამტკიცებული კოლეჯის დირექტორის 2020 წლის 01/11 28/20 ბრძანებით;
- დაწესებულების ვებგვერდით: https://profiuniti.edu.ge
- დაწესებულების ფეისბუქ გვერდით;
- ინტერვიუს შედეგებით კოლეჯის წარმომადგენლებთან.

შეფასება:

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

PDF Eraser Free

5.3 ფინანსური რესურსები

5.3.1 დაწესებულება ფინანსურად მდგრადია.

1. პსდ-ს ფინანსური რესურსით უზრუნველყოფილია სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების განხორციელება;
2. საოპერაციო ხარჯები უზრუნველყოფილია ფინანსური რესურსით;
3. დაწესებულება უზრუნველყოფს საკუთარი ფინანსური მდგრადობის ობიექტურ შეფასებას;
4. დაწესებულება სათანადოდ რეაგირებს შეფასების შედეგებზე.

კომპონენტის/კრიტერიუმის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. პსდ-ს ფინანსური რესურსით უზრუნველყოფილია სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების განხორციელება;

დაწესებულების შემოსავლები უზრუნველყოფილია საგანმანათლებლო პროგრამებზე ჩარიცხული სტუდენტების სწავლის საფასურით, რომელსაც პროფესიულ სტუდენტებს უფინანსებს შპს „ჯორჯიან მანგანეზი“. სტრატეგიული გეგმიდან გამომდინარე ყოველწლიური სამოქმედო გეგმის შესრულების ანგარიშიდან (2020-2021) ჩანს, რომ დაწესებულებას აქვს შესაბამისი ფინანსური რესურსი სამოქმედო გეგმებში გაწერილი აქტივობების განსახორციელებლად. ხოლო გაუმჯობესების გეგმით გათვალისწინებული სამუშაოების (გათბობის სისტემის მონტაჟი) შესასრულებლად ფინანსური რესურსი დაწესებულებამ ისესხა კოლეჯის დირექტორისგან. აღნიშნული თანხის ეტაპობრივი დაფარვა დასტურდება წარმოდგენილი დოკუმენტაციით.

2.საოპერაციო ხარჯები უზრუნველყოფილია ფინანსური რესურსით;

დაწესებულება აწარმოებს დაფინასების დინამიკას, რის საფუძველზეც იღებს სწორ ფინანსურ გადაწყვეტილებებს.

3.დაწესებულება უზრუნველყოფს საკუთარი ფინანსური მდგრადობის ობიექტურ შეფასებას;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

PDF Eraser Free
წინა ვიზიტის შემდგომ პერიოდში, გაუმჯობესების გეგმის შესაბამისად, დაწესებულებას ვალდებულება ჰქონდა აღებული ყოველწლიური ფინანსური ანგარიშები განეთავსებინა ფინანსური აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის ზედამხედველობის სამსახურის პორტალზე. აღნიშნული ვალდებულება შესრულებულია დაწესებულების მიერ, რაც დასტურდება ფინანსური აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის ზედამხედველობის სამსახურის პორტალზე განთავსებული დაწესებულების ფინანსური ანგარიშებით. დაწესებულების მიერ ვიზიტამდე წინასწარ გადმოგზავნილი დოკუმენტაციაში დადასტურების სახით წარმოადგინა მიმოწერა აუდიტის სამსახურის წარმომადგენლებთან მათი ანგარიშების პორტალზე განთავსებასთან დაკავშირებით. ექპერტებმა პორტალზე განთავსებული დაწესებულების ანგარიშები დაათვალიერეს დისტანციური გასაუბრების დროს (ეკრანის გაზიარებით).

4.დაწესებულება სათანადოდ რეაგირებს შეფასების შედეგებზე.

დაწესებულების ვებგვერდზე გამოქვეყნებულია 2019-2020, 2020/2021 წლის სამოქმედო გეგმის შესრულების ანგარიშები და ასევე გამოქვეყნებულია ახალი 2021/22 წლის სამოქმედო გეგმა. დაწესებულების წარმომადგენლებთან გასაუბრების დროს აღინიშნა, რომ ავტორიზაციის სტანდარტების მოთხოვნების დასაკმაყოფილებლად, კოლეჯმა გაწია დამატებითი ხარჯები, რომელიც არ იყო გათვალისწინებული 2020/2021 წლის სამოქმედო გეგმაში. დაწესებულების მიერ არსებული ფინანსური შესაძლებლობების შეფასების შემდგომ გამოიკვეთა დამატებითი სახსრების მობილიზების აუცილებლობა. მოხდა დამატებითი სახსრების სესხად აღება და დაწესებულებას მიმდინარე წელს დაგეგმილი აქვს აღებული სესხის ეტაპობრივად დაფარვა.

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები)

- კოლეჯის ვებგვერდზე განთავსებული სამოქმედო გეგმების ანგარიშებით;
- ფინასური აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის ზედამხეხველობის სამსახურის პორტალზე განთავსებული დაწესებულების ფინანსური ანგარიშებით;
- ელექტორნული პლატფორმა ZOOM -ის მეშვეობით ვიზუალური დათვალიერების შედეგებით;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

PDF Eraser Free

- ინტერვიუს შედეგებით კოლეჯის წარმომადგენლებთან.

შეფასება:

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

XIV. თანდართული დოკუმენტაცია

დანართი 1. მონიტორინგის განრიგი ჩაბარებულია დასკვნის პროექტთან ერთად

12.11.2021წ.
თარიღი

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---